



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
სამშეთა მმართველობის გამოსცემა

1936 წ. დეკემბრის 22.

№ 31

თფილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

177. საქართველოს დეპუტათა სააგენტოს დებულებების მე-2 მუხლისათვის „ე“ პუნქტის დამატებისა და იმავე დებულების მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

178. გადასახლების საქმის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გაუქმების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

179. „სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო საქმიანობისათვის შენობების, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

მრეწველობა.

180. ელექტრო-ენერჯიის ეკონომიის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

181. 1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

182. „1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს 1936 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შეცვლის შესახებ.

183. საქართველოს სსრ-ში 1936/37 წელს დაფინის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

184. ქალ. ტფილისიდან რაიონებში სამუშაოზე გაგზავნილ პირთა საბინაო შეღავათების შესახებ.

ფინანსები.

185. „სავაჭრო-სამრეწველო, საკანცელარიო და სხვა არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომების საიჯარო ქირიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გადადების თაობაზე“ გამოცემული, 1935 წ. ივლისის 2-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

186. 1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევაზე გამოცემულ დადგენილებათა დამატების შესახებ.

განათლება.

187. აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტთან ანთროპოლოგიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორის მოწყობის შესახებ.

188. აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან სამეცნიერო ტერმინოლოგიის სექტორის მოწყობის შესახებ.

189. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უმაღლესი საფინანსო სკოლის—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტად რეორგანიზაციის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

190. საექიმო პერსონალის რეგისტრაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

191. საშუალო სამედიცინო, კბილ სამკურნალო და საფარმაცევტო კადრების მომზადების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა

192. ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირობისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფო-ებრივი უზრუნველყოფის დებულების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა.

193. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი.

194. სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ბოლო სიტყვების შეცვლის შესახებ.

195. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 1391 მუხლის დამატების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

177. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დებულების მე-2 მუხლისათვის „ე“ პუნქტის დამატებისა და იმავე დებულების მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 26. №-ი, მუხ. 151) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს „ე“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[2. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ეკისრება:....]

„ე) აზერბაიჯანისა და სომხეთის დეპეშათა სააგენტოებთან, მათ შორის დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ცხოვრების უმინიშვნელოვანეს პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა“.

2. მე-9 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე.“

დირექტორს და მის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელის წარდგენით“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯკე.

1936 წ. ნოემბრის 3. № 1426.

ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

178. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

გადასახლების საქმის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გაუქმების შესახებ.

„გადასახლების საქმის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 10-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრ კან. კრ. 1936 წ. 37 №-ი, მუხ. 322, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

გაუქმებულ იქნას:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 23 დადგენილება „საქართველოს სსრ-ში გადასახლების საქმის მიზნების ორგანიზაციისა, გეგმების შედგენისა და გადასახლების ღონისძიებათა ფინანსიურად მოვარების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 78) და

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 27-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ-ში საგადასახლებო კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 მუხ. 110).

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. შაჩარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 177/1583.

ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

179. დადგენილება ს.კ.ს.

„სავაჭრო სამრეწველო და სასაწყობო საჭიროებისათვის შენობების, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„საზოგადოებრივი კვების წამოწყებების მიერ დაქერილი სადგომების საიჯარო ქირის შესახებ“ გამოცემული, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. აპრილის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 23 №-ი, მუხ. 219) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:



1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას „სამრეწველო-სამრეწველო და სასაწყობო საკურობებისათვის შენობების, სადგომებისა და მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის პირობების და წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 151) დაემატოს მე-7' მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„71. იმ სადგომების საიჯარო ქირა, რომლებიც საზოგადოებრივი კვების წამოწყებებს უჭირავთ, განისაზღვრება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. აპრილის 13-ის დადგენილების თანახმად (სსრკ. კან. კრ. 1936 წ. 23 №-ი, მუხ. 219)“

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მესამე აბზაციდან ამოიშალოს სიტყვები: „საზოგადოებრივი კვებისა“

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ხ. შებუქე.

1936 წ. ნოემბრის 3. № 1425
ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

180. დადგენილება ს.კ.ს.

ელექტროენერჯიის ეკონომიის შესახებ.

„ელექტროენერჯიის ეკონომიის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სამრეწველო წამოწყებას—შეამციროს 1936 წლის მე-IV კვარტალში ელექტროენერჯიის მოხმარება 1936 წლის პირველი ნახევარწლის ფაქტიურ მოხმარებასთან შედარებით პროდუქციის ერთეულზე არა ნაკლებ ვიდრე 10%-ით მანქანებისა და დანადგარების უფრო წესიერი ექსპლოატაციით.

2. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს და საკავშირო სახალხო კომისარიატების ქვემდებარე სამრეწველო წამოწყებათა დირექტორებს წარუდგინონ არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 25-ისა სათანადო ელექტრო-მომმარაგებელ ორგანიზაციებს თავიანთ ქვემდებარე წამოწყებებში ელექტროენერჯიის ხარჯვის ფაქტიური კუთრიწონა ნორმები.

3. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს—წარადგინონ ა/წ. ნოემბრის 25-თვის ცნობები ელექტროენერჯის ფაქტიური ხარჯვის შესახებ დაწესებულებებისა, სამრეწველო წამოწყებებისა და ქუჩების განათებაზე 1935 წლის IV კვარტალში და ელექტროენერჯის ხარჯვის გეგმა 1936 წლის IV კვარტალის იმავე პერიოდში და ღონისძიებანი ელექტროენერჯის ხარჯვის ეკონომიისათვის 15%-ით.

შენიშვნა. ზემოაღნიშნულ ცნობები წარუდგინენ: საქართველოს მაღალეკონომიკური დეპარტამენტის სამმართველოს აბონენტი საქალაქო საბჭოები—„ა/კ ენერჯოს“, ხოლო ის საქალაქო საბჭოები, რომლებიც თავიანთი ელექტროსადგურებით მარაგდებიან,—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სარეწაო საბჭომ უნდა გადასინჯონ და დაამტკიცონ არა უგვიანეს 1936 წ. დეკემბრის 10-ისა წამოწყებებისათვის ელექტროენერჯის ხარჯვის ნორმები პროდუქციის ერთეულზე, რაც უნდა უზრუნველყოფდეს უნაყოფო დანაკარგთა შემდგომ შემცირებას, და დააწესონ საპუშაო ხელფასის და დაპრემიების ისეთი სისტემა, რაც ხელსშეწყობს ელექტროენერჯის მაქსიმალურ ეკონომიას.

გამოსაშვებ ნაკეთობათა დიდ ან ცვალებად ნომენკლატურაზე წამოწყებებში, დროებით, ვიდრე სახალხო კომისარიატები ახალ კუთრწონიან ნორმებს დააწესებდნენ, ელექტროენერჯის ხარჯვის ნორმები განისაზღვროს 1.000 მანეთის საერთო პროდუქციაზე უცვლელი ფასების სახით.

5. წინადადება მიეცეს ტფილისის და ქუთაისის საქალაქო საბჭოებს უზრუნველყონ 1937 წ. იანვრის 1-მდე ძალოვნების კოეფიციენტის ამაღლება (კოსინუს ფი) სამრეწველო დატვირთვის მხრით 0,85-მდე.

6. კონტროლი ელექტროენერჯის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვისათვის და აგრეთვე კონტროლი იმისათვის, რომ მომხმარებლებმა თავიანთი ელექტროდანადგარები წესიერ ტექნიკურ მდგომარეობაში იქონიონ, დაეკისროს ელექტრომომარაგებელ ორგანიზაციებს („ა/კენერჯო“ და ქალ. ტფილისის, ქუთაისის, ბათუმის და სუხუმის ელექტროქსელის სამმართველოს).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუკე.

1936 წ. ნოემბრის 17. № 1476.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

181. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. ივლისის 31-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შენარჩუნებულ იქნას 1937 და 1938 წლებში 1936 წელს მოქმედი წესი, ვადები და ნორმები კოლექტიური მეურნეობების, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო, გადასახადების ძალის მქონე, ჩაბარებისა, შემდეგი ცვლილებების შეტანით:

1. კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ოთხფეხა საქონლისათვის დაწესებულ იქნას შემდეგი წლიური ნორმები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისა, ცოხცლადი წონის კილოგრამებით:

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი:

წალკის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბორჯომისა და წალენჯიხის რაიონებში—13 კილოგრამი თითო სულზე;

სიღნაღის, ცხაკაიას და მახარაძის რაიონებში—12 კილოგრამი თითო სულზე; ყვარლის, საგარეჯოს, აღბულახის, ყარაიის, ბაშკიჩეთის, ხაშურის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში—11 კილოგრამი თითო სულზე;

ტფილისის, თიანეთის, სამტრედიის, ონის, ჩხოროწყუს, ფოთისა ლანჩხუთის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ-ში, აქარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—10 კილოგრამი თითო სულზე;

დუშეთის, თელავის, ლაგოდეხის, კასპის, ადიგენის, ქიათურის, ჯუღელის, ჩხარის, ბაღდადის, ტყიბულის, ამბროლაურისა და ზუგდიდის რაიონებში—8 კილოგრამი თითო სულზე;

გურჯაანის, გორის, ახალციხის, ასპინძის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, ვანის, წულუკიძის, ცაგერის, აბაშის, გეგეჭკორისა და ხობის რაიონებში—5 კილოგრამი თითო სულზე.

ბ) ცხვარი:

სიღნაღის, საგარეჯოს, ყარაიის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთისა და გორის რაიონებში—6 კილოგრამი თითო სულზე;

ტფილისის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ამბროლაურის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ-ში—5 კილოგრამი თითო სულზე,

წალკის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ხაშურის, ჩხოროწყუს, გვერდის, ვანის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ცხაკაიას, დუშეთის, ახალციხის, ასპინძის, თიანეთის, ცაგერის, წულუკიძის, კიათურის, ქუთაისის, ონის, ტყიბულის, კასპის, ჩხარისა და ყაზბეგის რაიონებში და აქარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქებში—4 კილოგრამი თითო სულზე.

ვ) ღორი:

ბორჩალოს რაიონში—25 კილოგრამი თითო სულზე;
ყარაიის, ლუქსემბურგის, სიღნაღის, ლავოდების, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, წალკის, ბორჯომის, ხაშურის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში—23 კილოგრამი თითო სულზე;

აღბულახის რაიონში—21 კილოგრამი თითო სულზე;
ტფილისის, ხობის, ჩხოროწყუს, გორის, ლანჩხუთის, გეგეკეკორის, სამტრედიის, ვანის, მახარაძის, ფოთის, ბაშკიჩეთის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ცხაკაიას, აბაშისა და ზუგდიდის რაიონებში, აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—20 კილოგრამი თითო სულზე;

დუშეთის, ყაზბეგის, ამბროლაურის, ორჯონიკიძის, ცაგერის, წულუკიძის, კიათურის, ბაღდადის, ჯულელის, ქუთაისის, ონის, ტყიბულის, ჩხარის, კასპის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და თიანეთის რაიონებში—19 კილოგრამი თითო სულზე.

2. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური რაოდენობა თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის გამოანგარიშებულ იქნას მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ცხვრისა და ღორის იმ საერთო რიცხვის გეგმის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია წლის დასაწყისისათვის (1937 წ. იანვრის 1-თვის და 1938 წ. იანვრის 1-თვის) მეცხოველეობის განვითარების რაიონული გეგმით.

3. კოლექტიური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ღორების ჩაბარების წლიურ ვალდებულებათა აღსრულებისათვის განსაზღვრულ იქნას შემდეგი საკალენდრო ვადები (წლიური ნორმის პროცენტობით):

I კვარტალში	II კვარტალში	III კვარტალში	IV კვარტალში
30	25	20	25

მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ცხვრის ჩაბარებისათვის უცვლელად იქნას დატოვებული ჩაბარების მოქმედი საკალენდრო ვადები.

4. საკოლმეურნეო კომლენბისათვის და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებულ იქნას შემდეგი წლიური ნორმები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისა ცოცხლად წონის კილოგრამობით:

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ბორჩალოს, გურჯაანის, ყარაიის, ყვარლის, ლავოდების, ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სიღნაღის თელავის, ხაშურისა და წალკის რაიონებში—35 კილოგრამი საკოლმეურნეო კომლენბისათვის და 70 კილოგრამი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

აბაშის, აღბულაღის, ბაშკიჩეთის, ვანის, გორის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, მახარაძის, ფოთის, სამტრედიის, ტუილისის, ხობის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში და აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—30 კილოგრამი საკოლმეურნეო კომლემბისათვის და 60 კილოგრამი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალციხის, ბაღდადის, ჯულელის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, ქუთაისის, ონის, ორჯონიკიძის, თიანეთის, ტყიბულის, ცაგერის, წულუკიძის, ქიათურისა და ჩხარის რაიონებში—25 კილოგრამი საკოლმეურნეო კომლემბისათვის და 50 კილოგრამი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

5. წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—დააწესონ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საშუალო ნორმების მიხედვით, ხორცის ჩაბარების სხვადასხვა (დიფერენცირებული) ნორმებზე ცალკეულ რაიონებში საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებისათვის, საკოლმეურნეო კომლემბისათვის და ერთპიროვნული მეურნეობისათვის, და, დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს ასსრ-ში) მიერ ამ ნორმების დამტკიცების შემდეგ, აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა გამოაქვეყნონ დაწესებული ნორმები არა უგვიანეს 1936 წ. ნოემბრის 5-ისა.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აუცილებლად ეკრძალებათ ამა დადგენილებით კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლემბისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებული ხორცის ჩაბარების რაიონობითი ნორმების შეცვლა.

6. დაწესებულ იქნას 1937 წელს შემდეგი შეღავათები სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებაში:

ა) განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან ერთიან სახელმწიფო საჯიშო დაგთარში შეტანილი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორი და ცხვარი საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებისა;

ბ) განთავისუფლებულ იქნას ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან კოლექტიური მეურნეობების მუშა ხარი და კამეჩა;

გ) შემცირებულ იქნას ერთი-ორად სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ნორმები საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მერინოსის, კარაკულისა და სმუშკის ცხვრისთვის;

დ) შემცირებულ იქნას საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში 2 კილოგრამით ხორცის ჩაბარების ნორმები თვითეულ მქისემატყლოვან დედა-ცხვარზე, რომელიც მეტიზეებულია წმინდამატყლოვანი ციკვის ჯიშის კარაკული ვერძი-ცხვრებით, მთლად იმ დედაცხვრების რაოდენობის მიხედვით, რომლებსაც 1937 წელს მეტიზეებული ნამატი ეყოლებათ.

7. საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მიერ სავალდებულო წესით ჩაბარებული ხორცის რაოდენობის 5 პროცენტი ჩაითვალოს იმ კოლმეურნეთა პირად ვალდებულებათა შესრულებად ისეთი რაოდენობით, რაც თვითივე მათგანისათვის დაწესებულია კოლექტიური მეურნეობის გამგეობის მიერ.

8. იმ კოლექტიურ მეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელთაც სავსებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი 1936 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა, უფლება აქვთ ვაღამდე ჩააბარონ ხორცი 1937 წლიური ვალდებულების ანგარიშში ამა დადგენილებით განსაზღვრული ნორმების კვალობაზე; ამასთანავე, დატოვებულ იქნას ძალაში 1936 წლისათვის დადგენილი წესი მეცხოველეობის გეგმის შესრულების ანგარიშში საქონლის ავანსად ჩაბარების ჩათვლისა.

9. უცილობლად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამშაბდებელ ორგანიზაციებს კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა ისეთი რაოდენობით დაკისრება, რაც აღემატება ამა დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნებულ ჩაბარების ნორმებს, აგრეთვე დამატებითი ან შემხვედრი გეგმების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც ხორცის ჩაბარების გეგმები ვაღამდე შეასრულეს; ამასთანავე, პირნათლად ჩამბარებლებს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა თავისუფლად და სურვილისამებრ გამოიყენონ თავიანთი ზედმეტი პროდუქცია.

გაფრთხილებულ იქნას ყველა საბჭოთა ორგანიზაცია, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯე.

1936 წ. ნოემბრის 5. № 1450.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 263 №-ში 1936 წ. ნოემბრის 14.

182. დადგენილება ს.კ.ს.

„1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შეცვლის შესახებ.

„1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული 1936 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტის“ 263 №-ი 1936 წ. ნოემბრის 14, საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 181 ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებელი ოთხფეხა საქონლისათვის დაწესდეს შემდეგი წლიური ნორმები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისა ცოცხლადი წონის კილოგრამობით:

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი:

ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონებში 11 კილოგრამი თითო სულზე
წალენჯიხისა, ცხაკიას და მახარაძის რაიონებში . 10 კილოგრამი თითო სულზე
აბაშის და ვანის რაიონებში 8 კილოგრამი თითო სულზე

ბ) ცხვარი:

თელავის და გურჯაანის რაიონებში 6 კილოგრამი თითო სულზე
ყვარლის რაიონში 5 კილოგრამი თითო სულზე
ბაშკირეთის, ალბულახის და ტფილისის რაიონებში და
აფხაზეთის ასსრ-ში. 4 კილოგრამი თითო სულზე
დუშეთის, ყაზბეგის და გორის რაიონებში და სამხრეთ-
ოსეთის ავტ. ოლქში 3 კილოგრამი თითო სულზე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ხ. მეზუყე.

1936 წ. ნოემბრის 17. № 1480.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ 267 №-ში 1936 წ. ნოემბრის 18.

183. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1936/37 წელს დაფნის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას გეგმა 1936/37 წელს დაფნის-ფოთლის დამზადებისა 670 ტონას რაოდენობით და ამ გეგმის განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე (იხ. დანართი).

2. საქართველოს სსრ-ში დაფნის ფოთლის დამზადება დაეკისროს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას—„საქხილბოსტანს“ და „აფკავშირს“ (აფხაზეთის ასსრ-ში).

3. დაფნის ნარგავთა დაუზოგველი ექსპლოატაციის თავიდან ასაცილებლად დაფნის ფოთლის დეცენტრალიზებული წესით დამზადება აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას გამოუკლებლად.

4. დატოვებულ იქნას უცვლელად 1936/37 წლისთვის დაფნის ფოთლის სადამზადებლო ფასი 4.000 მან. რაოდენობით ტონაზე—სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების ფრანკო-საწყობი.

5. დაფნის კულტურის აგრომომსახურეობისა და ამ კულტურის ნარგავთა შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში 8-პროცენტრიანი ანარიცხების ვადადების დამტკიცებასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე და, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან

(საქ. სსრ-ში) შეთანხმებით, წარუდგინოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების, სახლხო კომისარიატს და სსრ კავშირის სახლხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტს არსებულ დაფნის ნარგავთა შენარჩუნებისა და ამ კულტურის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო აგროლონისძიებათა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

დანართი

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ-ში 1936/37 წელს დაფნის ფოთლის დამზადებისა.

(ტონობით)

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. ყურულოვი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის თანაშ. გ. ლუნკევიჩი

1936 წ. ნოემბრის 26. № 1528.

ტფილისი.

რაიონებისა და ავტ. რესპ-ბის სახელ- წოდება	სულ	ა ქ ე დ ა ნ			
		1936 წლ. მე-IV კვ.	1937 წლ. I კვარტ.	1937 წლ. მე-II კვ.	1937 წლ. მე-III კვ. ივლისში
1. ხობის	235	40	150	35	10
2. ცხაკაიას	65	20	30	10	5
3. ზუგდიდის	100	30	40	25	5
4. აბაშის	10	2	5	2	1
5. მარტვილის	10	1	3	4	2
6. ჩხოროწყუს	8	—	3	4	1
7. ფოთის	1	—	1	—	—
8. ქუთაისის	35	2	15	15	3
9. ჩხარის	3	—	2	1	—
10. ჯუღელის	2	—	1	1	—
11. ბაღდადის	3	—	1	2	—
12. ხონის	5	1	3	1	—
13. სამტრედიის	45	10	20	12	3
14. ვანის	42	10	20	10	2
15. ლანჩხუთის	35	2	20	10	3
16. შაბარაძის	5	1	2	2	—
17. ჩოხატაურის	8	1	3	4	—
18. ტყიბულის	1	—	—	1	—
19. აფხაზეთის ასსრ	55	10	30	10	5
20. აჭარის ასსრ	2	—	1	1	—
სულ	670	130	350	150	40

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

184. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქალ. ტფილისიდან რაიონებში სამუშაოზე გაგზავნილ პირთა საბინაო შეღავათების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენს:

1. ქალ. ტფილისიდან რაიონებში პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე და აგრეთვე სპეციალისტებად გაგზავნილ პირებს შეენარჩუნოს საცხოვრებელი ფართობი, რაც მათ ტფილისში უქირავთ, ორი წლის განმავლობაში დღიდან ახალ სამუშაოს ადგილას წასვლისა.

უქეთუ მომუშავეს ოჯახი ან ოჯახის ზოგიერთი წევრი ახალ სამუშაო ადგილას გადავიდა, შეენარჩუნოს ამ პირთ ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობი ტფილისში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ უფლება აქვთ გადასცენ იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი ტფილისში არ იქნებიან, მათთვის შენარჩუნებული ფართობი სხვა მშრომელთ იმ პირობებზე, რაც გათვალისწინებულია „სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანისა, კვლავ სამუშაოზე მიღებისა და სხვა ადგილას სამუშაოზე წარგზავნის შემთხვევებში კომპენსაციების და გარანტიების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისარათა საბჭოს 1931 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილების 22 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 68 №-ი, მუხ. 153).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. ა. თ. შლენტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მ. ა. გ. ყურულოვი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. ვ. ჩხეიძე.

1936 წ. ნოემბრის 27. № 183/1525.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გახ. „კომუნისტის“ 275 №-ში 1936 წ. ნოემბრის 28.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

185. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ხავაქრო-სამრეწველო, სასაწყობო, საკანცელარიო და სხვა არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომების საიჯარო ქირიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გადადების თაობაზე“ გამოცემული, 1935 წ. ივლისის 2-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 2-ის თარიღის და 55/878 №-ის დადგენილება „სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო, საკანცელარიო და სხვა არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომების საიჯარო ქირიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გადადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-20 №-ი, მუხ. 124) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 182/1587.

ტფილისი.

სახელმწიფო დაზღვევა

186. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევაზე გამოცემულ დადგენილებათა დამატების შესახებ.

„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 25-ის თარიღისა და 856 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-20 №-ი, მუხ. 119) და 1935 წ. აგვისტოს 10/15 თარიღისა და 1070 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 25 №-ი, მუხ. 144) დასამატებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნას 1937 წელს ბაშკირეთის რაიონში დამატებითი დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა (ბოტნების, ბალჩების და სამხილეების გარდა), აგრეთვე ბაღებისა და ვენახების დაზღვევა წყალიდობის, დაზრობის, ჩახარშვისა და დაღობისაგან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ხ. მეზუჯე.

1936 წ. ნოემბრის 3. № 1424.

ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

187. დადგენილება ს.კ.ს.

აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტთან ანთროპოლოგიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. საქართველოს არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაშია, ლიკვიდირებულ იქნან როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტები.

2. მოეწყოს აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტთან ანთროპოლოგიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორი, რომელსაც გადაეცეს ზემოაღნიშნული ინსტიტუტების სამეცნიერო მომუშავეები და ასპირანტები.

3. ლიკვიდირებული ინსტიტუტების ქონება და აგრეთვე მათთვის 1936 წლის ბიუჯეტით გადადებული სახსარი გადაეცეს აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტს.

4. მიენდოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს—განაგრძოს და დაამთავროს არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოები (ანაკლიაში, ქვალონში და მოწამეთაში) და ანთროპოლოგიურ ინსტიტუტში ტფილისის სკოლების ბავშვთა სხეულის ნაკვებობის შესწავლისათვის წარმოებული სამუშაოები.

საქ. სსრ ს. კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯე.

1936 წ. ოქტომბრის 27. № 1387.

ტფილისი.

188. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან სამეცნიერო ტერმინოლოგიის სექტორის მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნას.

2. მოეწეოს აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტთან სამეცნიერო ტერმინოლოგიის სექტორი, რომელსაც გადაეცეს სატერმინოლოგიო კომიტეტის სამეცნიერო მომუშავენი.

3. ლიკვიდირებული სატერმინოლოგიო კომიტეტის ქონება და აგრეთვე მისთვის 1936 წლის ბიუჯეტით გადადებული სახსარი გადაეცეს აკადემიკოსი ნ. ი. მარის სახელობის, ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს.

4. გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. თებერვლის 26-ის დადგენილება მოთავარი სატერმინოლოგიო კომისიისა და ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების შესახებ და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულება განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 29).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 174/1581.

ტფილისი.

189. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უმაღლესი საფინანსო სკოლის—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტად რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უმაღლესი კვალიფიკაციის საფინანსო მომუშავეთა მომზადებისა და ამ მომუშავეებით საქართველოს სსრ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული უმაღლესი საფინანსო სკოლა რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტად და ინსტიტუტის სასწავლო მუშაობას საფუძვლად დაედგას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, უმაღლესი სკოლის კომიტეტის მიერ მიწოდებული სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სწავლების 4-წლიან ვადას.

2. ინსტიტუტის კონტინგენტი 1936/37 სასწავლო წლისათვის დამტკიცებულ იქნას 368 კაცის რიცხვით.

1937 წლის სექტემბრისათვის მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს კაცით.

3. ინსტიტუტის 1937 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს ანგარიშში მიღებულ იქნას სწავლების 4-წლიანი ვადის ხანგრძლივობა.

4. აღიძრას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, უმაღლესი სკოლის კომიტეტის წინაშე საკითხი უმაღლესი საფინანსო სკოლის სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტად რეორგანიზაციის დამტკიცების შესახებ ისე, რომ ეს ინსტიტუტი შეტანილ იქნას უმაღლეს სსრწავლებელთა ქსელში.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯე.

1936 ნოემბრის 3. № 1438.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

190. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საექიმო პერსონალის რეგისტრაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სამედიცინო მომუშავეთა რეგისტრაციის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წ. აპრილის 10-ის თარიღისა და 681 №-ის დადგენილების გამოცემის გამო (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 22 №-ი, მუხ. 204), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ივლისის 16-ის თარიღის და 47 №-ის დადგენილება საექიმო პერსონალის რეგისტრაციის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 № ი, მუხ. 3).

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ სსრ ს. კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 189/1588.

ტფილისი.

191. დადგენილება ს.კ.ს.

საშუალო სამედიცინო, კბილსამკურნალო და საფარმაცევტო კადრების მომზადების შესახებ.

„საშუალო სამედიცინო კბილსამკურნალო და საფარმაცევტო კადრების მომზადების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. სექტემბრის 8-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 47 №-ი, მუხ. 471), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რეორგანიზებულ იქნას ტფილისის 1,11 და 111 სამედიცინო ტექნიკუმები; ქუთაისის, სტალინირის, მახარაძის, ბორჯომის, ზუგდიდის, თელავისა და სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმები (საფერშლო განყოფილებანი)—საფერშლო სკოლებად სწავლების სამწლიანი ვადით.

ყველა ათი საფერშლო სკოლის მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტი 1937 წლისთვის განისაზღვროს 1.770 კაცით.

2. რეორგანიზებულ იქნას ტფილისის, ქუთაისისა და სოხუმის სამედიცინო-საფერშლო ტექნიკუმები (სამედიცინო განყოფილებანი)—სამედიცინო სკოლებად სწავლების ორწლიანი ვადით.

3. ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმი რეორგანიზებულ იქნას საფერშლო სკოლად და 1937 წლის შემოდგომიდან გაიხსნას მასთან სამედიცინო განყოფილება სწავლების ორწლიანი ვადით.

ყველა ოთხი სამედიცინო სკოლის მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტი 1937 წლისათვის განისაზღვროს 510 კაცით.

4. მოწყობილ იქნას ტფილისსა, ქუთაისსა, სოხუმსა და ბათუმში 1937 წ. შემოდგომიდან საბაგო დების სკოლები სწავლების ორწლიანი ვადით.

ყველა ოთხი საბაგო სკოლის მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტი განისაზღვროს 240 კაცით.

5. რეორგანიზირებულ იქნას ტფილისის საფარმაცევტო ტექნიკუმი—საფარმაცევტო სკოლად სწავლების სამწლიანი ვადით.

1937 წლის გაზაფხულზე გამოშვებულ იქნას როგორც მე-IV, ისე მე-III კურსები.

საფარმაცევტო სკოლის მისაღები კონტინგენტი 1937 წლისთვის განისაზღვროს 150 კაცით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—ჩაატაროს ა/წ. ნოემბრის 1-დან საფთვიაქო შეგირდთა ორგანიზებული მოგროვება რესპუბლიკური საფთვიაქო სამმართველოს მსხვილი აფთვიაქების სისტემაში 40 კაცის რიცხვით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—ვაითვალისწინოს 1937 წლის გეგმაში პროვიზორის თანაშემწეების პროვიზორებად გარდაკვალიფიკაციის კურსების ორგანიზაცია 650 მისაღებ პირთა კონტინგენტით.

8. მოწყობილ იქნას 1937 წ. იანვრიდან ტფილისში კბილსამკურნალო სწავლების სამწლიანი ვადით და 60 მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტით.

ა) გაითვალისწინოს 1937 წლის გეგმით ქ. ტფილისში კბილის ტექნიკოსთა მოსამზადებელი კურსები სწავლების ერთწლიანი ვადით და 60 მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტით;

ბ) საშუალო კვალიფიკაციის ლაბორანტების მოსამზადებლად გახსნას 1937 წელს ტფილისში ლაბორანტების კურსები სწავლების ერთწლიანი ვადით და 60 მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტით;

გ) გაითვალისწინოს 1937 წლის გეგმაში მასურ ღონისძიებათა ხაზით მოკლე ვადიანი კურსები დეზინფექტორების, ბონიფიკატორებისა და ქიმიზატორების მოსამზადებლად, აგრეთვე მოკლევადიანი კურსები სამედიცინო დებისა და ფერშალ-ქალთა და მეანე ქალთა გარდა კვალიფიკაციისათვის;

დ) დაგეგმოს კაპიტალდაბანდებანი ორი სამეანო სკოლის მშენებლობისათვის ტფილისსა და სოხუმში;

ე) გადასინჯოს ორი თვის ვადაზე, სათანადო ორგანიზაციებთან ერთად, საშუალო სამედიცინო სკოლების დირექტორთა და სხვა ხელმძღვანელ მომუშავეთა შედგენილობა და განამტკიცოს ეს სკოლები უფრო კვალიფიციური და ნაცადი მომუშავეებით.

10. აღძრულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი საფარმაკეუტო და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის შედგენილობაში დატოვებისა და არა დამოუკიდებელ ინსტიტუტებად რეორგანიზების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. კვირიკაძე.

1936 წ. ოქტომბრის 27. № 1396.

ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

192. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ომიხა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებული პირობებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდების, მათთან გათანაბრებულ პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 28 №-ი, მუხ. 177) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს დაკარგული შრომის უნარი ინვალიდს და რა სახის მუშაობის შესრულებაც მას შეუძლია, დაწესებულია შემდეგი სამი ჯგუფი ინვალიდობისა:

პირველი ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც სრულიად დაკარგეს შრომის უნარი და საჭიროებენ მოვლას;

მეორე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც სრულიად დაკარგეს პროფესიონალური შრომის უნარი, როგორც თავიანთ პროფესიაში, ისე სხვა რაიმე პროფესიაში;

მესამე ჯგუფი—ის პირნი, რომელთაც დაკარგეს სისტემატური შრომის უნარი თავის პროფესიაში ამ პროფესიისათვის მუშაობის ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ თავიანთი დარჩენილი შრომის უნარი შეუძლიათ გამოიყენონ: ა) ან არარეგულარულ სამუშაოზე, ბ) ან შემოკლებულ სამუშაო დღეში თუ შემსუბუქებული მუშაობის პირობებში, გ) ან სხვა პროფესიაში-კვალიფიკაციის თვალსაჩინო შემცირებით“.

დებულების მე-6 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის მდივანი თ. ულენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 176/1582.

ტფილისი.

ქორწინება, ოჯახი, მემკვიდრეობა.

193. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქორწინო, საოჯახო და სამემკვიდრეო კანონთა კოდექსის შეცვლის შეხახებ...

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამემკვიდრეო კანონთა კოდექსში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 30 და 32 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„30. ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ორგანომ აუცილებლად უნდა აღძრას საკითხი, თუ

რომელ მეუღლესთან რომელი შვილი დარჩება აღსაზრდელად და რომელი მეუღლე რამდენს გაიღებს შვილების შესანახად, აგრეთვე, თუ რა რაოდენობის სარჩო უნდა მიეცეს გაჭირვებულ შრომაუუნარო მეუღლეს.

უკეთუ მეუღლენი ამ საკითხზე შეთანხმდებიან, ეს აღინიშნება ქორწინების მოსპობის აქტში, რომლის შესახებ მოწმობაც ეძლევა ორსავე მეუღლეს; ეს შეთანხმება არ ართმევს არც ერთ ყოფილ მეუღლეს და არც მათ შვილებს უფლებას ისარჩელონ შემდგომ საერთო წესით სარჩო იმაზე მეტი რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით.

უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტის ჩამწერი ორგანო შეადგენს აქტს, რომელშიაც ზედმიწევნით აღნიშნავს იმ საკითხებს, რომლებზედაც შეთანხმება ვერ მოხდა“.

„2. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, სადავო საკითხებს გადაწყვეტს საერთო სასარჩელო წესით სასამართლო დაინტერესებულ პირთა განცხადებით ან მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს შედგენილი აქტის მიხედვით.

ამასთანავე, უკეთუ დავა ეხება ამა თუ იმ მეუღლესთან შვილების დატოვების საკითხს ან შვილების შენახვას, სასამართლოს შეუძლია, საქმის მიღებასთან ერთად, გამოიტანოს, საქმის გარემოებათა მიხედვით და შვილების ინტერესების დასაცავად, დადგენილება იმის თაობაზე, თუ დროებით, დავის გადაწყვეტამდე, რომელ მშობელთან უნდა დარჩნენ შვილები აღსაზრდელად და რომელი მშობელია მოვალე დროებით, დავის გადაწყვეტამდე, გაიღოს ხარჯი შვილების შესანახად“.

2. დემატოს 32¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„32¹. სასამართლოს მიერ ბავშვების შესანახად ალიმენტების გადაწყვეტის დროს გადაიხდევენება: ერთი ბავშვის შესანახად—მოპასუხის სამუშაო ხელფასის $\frac{1}{4}$, ორი ბავშვის შესანახად— $\frac{1}{3}$ და სამი და მეტი ბავშვის შესანახად $\frac{1}{2}$ “.

კოლექტიური მეურნეობის წევრისათვის ალიმენტები გამოიანგარიშება შრომა-დღეებზე იმავე ნორმების მიხედვით“.

3. 25—32¹ მუხლები გამოყოფილ იქნას VI¹ თავად—„ქორწინების მოსპობა“.

4. ამოიშალოს 36 მუხლის მე-2 ნაწილი.

5. 37 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„უკეთუ ამასთან ერთად მოთხოვნილია ალიმენტებიც, სასამართლოს შეუძლია, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულების მოპასუხე დროებით, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, გაიღოს სახსარი ბავშვის შესანახად“.

6. 42 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„42. შვილები იწოდებიან მშობლების გვართ, უკეთუ მშობლები საერთო გვარს ატარებენ. უკეთუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, ბავშვი იწოდება,

მშობელთა შეთანხმების მიხედვით, მამის ან დედის გვართ. როდესაც ასეთი შეთანხმება არ არის, სამეურვეო და სამზრუნველო ორგანო მისცემს ბავშვს მამის ან დედის გვარს. უკეთეს ცნობილი არ არის, თუ ვინაა ბავშვის მამა, ბავშს დედის გვარი მიეცემა. ქორწინების მოსპობის შემთხვევაში ბავშვს ჰრჩება დაბადების რეგისტრაციის დროს მიცემული გვარი“.

7. დაემატოს 47¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„47¹. სსრ კავშირის მოქალაქე მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ექვსი ცოცხალი შვილი ჰყავთ, უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფოებრივი დახმარება თვითთელი შემდგომი, ექვსის გარდა, შვილის დაბადებისას 2.000 მან. რაოდენობით ყოველწლიურად ხუთი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადების დღიდან, ხოლო ვისაც ათი შვილი ჰყავს, თვითთელი შემდგომი, ათის გარდა, შვილის დაბადებისას მიიღებს ერთდროულად 5.000 მან. და მეორე წლიდან—ყოველწლივ 3.000 მან. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში.

განცხადება სახელმწიფოებრივი დახმარების დანიშვნის შესახებ შეიტანება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სარაიონო და საქალაქო (დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულად გამოყოფილ ქალაქებში) ორგანოში.

სახელმწიფოებრივი დახმარება დანიშნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო რესპუბლიკური და საოლქო ორგანოს წარდგენით“.

8. 59 მუხლს დაემატოს მე-2 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ბავშვების შესანახად ალიმენტების გადაწყვეტის დროს დაცულ უნდა იქნას აგრეთვე ამა კოდექსის 32¹ მუხლით გათვალისწინებული წესი“.

9. 66 მუხლს დაემატოს მე-2 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ქალის მიერ ისეთი პირის შვილად აყვანის დროს, რომლის მამაც ცნობილი არ არის, მამის სახელი შვილად აყვანილს მიეცემა შვილად აყვანის სურვილისამებრ“.

10. 120 და 121 (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-11 №-ი, მუხ. 111), 122, 123, 125 და 129 (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 17⁹) მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„120. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას აწარმოებენ ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში—მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და სარაიონო ბიუროები, ხოლო სოფლად და დაბებში—სასოფლო და სადაბო საბჭოები“.

(120 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნა ძალაში რჩება.)

„121 დაბადების, გარდაცვალებისა შვილად აყვანისა და მამობის დამტკიცების აქტების ჩამწერა უფასოა.

დაქორწინების, განქორწინებისა და გვარის ან სახელის გამოცვლის აქტების რეგისტრაციისათვის გადაიხდებიან ერთიანი სახელმწიფო ბაჟი.

ყველა სახის აქტების პირველადი მოწმობები გაიცემა უფასოდ.

ყველა სახის აქტების მეორე და შემდგომი მოწმობების გაცემისათვის გადაიხდებიან ერთიანი სახელმწიფო ბაჟი.

დაბადების განმეორებითი მოწმობა, რაც წარდგენილ უნდა იქნას განცხადებასთან მრავალშვილიანობის გამო სახელმწიფოებრივი დახმარების დანიშვნის შესახებ, გაიცემა უფასოდ.

სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით“.

„122. სასოფლო და სადაბო საბჭოებში ირეგისტრება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების შესახებ; მიიღება განცხადებანი მამობის დამტკიცების შესახებ და გაიცემა მოწმობები მოქმედ და საარქივო დავთრებში ჩაწერილი აქტების შესახებ.“

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ საქალაქო და სარაიონო ბიუროებში ირეგისტრება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანისა და სახელის და გვარის გამოცვლის შესახებ; მიიღება განცხადებანი მამობის დამტკიცებისა და მრავალშვილიანობის გამო სახელმწიფოებრივი დახმარების მიცემის შესახებ, აგრეთვე გაიცემა მოწმობები მოქმედ და საარქივო დავთრებში ჩაწერილი აქტების შესახებ“.

122 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-11 №-ი, მუხ. 111) ამოიშალოს.

„123. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტები ჩაიწერება ორ ცალად; ერთი ცალი მუდმივად ინახება რეგისტრაციის ადგილას—დაინტერესებულ პირთათვის და დაწესებულებათათვის ცნობებისა და მოწმობების მისაცემად, ხოლო მეორე ცალი განსაზღვრულ ვადაზე და დადგენილი წესით იგზავნება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური ცნობების შესამუშავებლად და მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების სათანადო რესპუბლიკურ და საოლქო არქივში შესანახად და ცნობების გასაცემად. აქტების ყუიანი დავთრები ყოველწლივ იცვლება. წელიწადი ითვლება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე თან ჩათვლით.“

ჩანაწერის ყოველგვარი შეცვლა მას შემდეგ, რაც გაიგზავნა აქტის მეორე ცალი, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ადგილობრივმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რესპუბლიკურ ან საოლქო არქივს და გაუგზავნოს ცვლილება-შეტანილი აქტის ასლი“.

„125. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს სარეგისტრაციო ორგანოების მიერ ჩადენილი შეცდომის შესწორება შეუძლია, დაინტერესებულ პირის განცხადებით, თვით მოქალაქობრივი მდგომარეობის

აქტების ჩამწერ ორგანოს, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ზემდგომი ორგანოს განკარგულებით“.

„129. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციით“.

11. 130—157 მუხლები იმ კართა სათაურებითურთ, რომელთაც ეს მუხლები შეადგენენ, გამოყოფილ იქნას ცალკე მე-XIII თავად—„მოქალაქობრივი მდგომარეობის ცალკეული აქტების ჩაწერა“.

12. მუხლები 130—132 (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-11 №-ი, მუხ. 111) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„130. ბავშვის დაბადება დარეგისტრებულ უნდა იქნას არა უგვიანეს ერთი თვისა დაბადების დღიდან მშობლების ან ერთი მათგანის განცხადებით, ხოლო მათი ავადმყოფობისა თუ სიკვდილის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე სხვა მიზეზის გამო მათ არ შეუძლიათ განცხადება შეიტანონ,—ნათესავების ან სხვა ისეთი პირების განცხადებით, რომელთა მზრუნველობაზეც ბავშვი იმყოფება. ბავშვის დაბადების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნას: ქალაქებში, დაბებში, სარაიონო ცენტრებში და იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია,—ექიმის მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში—სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ან რწმუნებულის მიერ“.

„131. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოსათვის ვადის გადაცილებით განცხადებული, ან თვით მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ გამოაშკარავებული დაურეგისტრებელი შემთხვევა ბავშვის დაბადებისა დარეგისტრებულ უნდა იქნას საერთო წესისამებრ, სათანადო შემთხვევაში 138¹ მუხლით გათვალისწინებული წესის დაცვით“.

„132. დაბადების რეგისტრაციისაგან თავის არიდება და აგრეთვე რეგისტრაციისათვის დაწესებული ვადის გადაცილება არაპატივსაღები მიზეზით გამოიწვევს ჯარიმას 25 მანეთიდან 100 მანეთამდე.

ჯარიმა დაიდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს დადგენილებით იმ ოქმის მიხედვით, რომელსაც შეადგენს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აქტის რეგისტრაციასთან ერთად“.

13. 133 და 134 მუხლები ამოიშალოს.

14. 136—139, 146, 148 და 151 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„136. დედას, სურვილისამებრ, შეუძლია არ დაასახელოს ბავშვის მამა. ამ შემთხვევაში ბავშვს მიეცემა დედის გვარი, ხოლო მამის სახელი მიეცემა დედისვე ჩვენებით“.

„137. მკვდარი ბავშვის დაბადება დარეგისტრებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 24 საათისა მშობიარობის მომენტიდან“.



ამ წესის აღსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამა კოდექსის მუხლის მიხედვით*.

„138. მიგდებული ბავშვი დარეგისტრებულ უნდა იქნას მისი მშობლების ან მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოს განცხადებით, არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა პოვნის დღიდან.

ნაპოვნ ბავშვს გვარი, სახელი და მამის სახელი ეძლევა იმ დაწესებულებათა და პირთა ამორჩევით, რომელნიც აიყვანენ ბავშვს აღსაზრდელად, ხოლო უკეთუ ასეთი დაწესებულებანი და პირნი არ არიან, — მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს ამორჩევით.

ამა მუხლში აღნიშნული ვადის არდაცვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამა კოდექსის 132 მუხლის მიხედვით*.

„139. ის პირნი, რომელთაც ჰსურთ ქორწინების დარეგისტრება, განუცხადებენ ამას სიტყვიერად მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს იქ, სადაც ერთერთი განმცხადებელი ცხოვრობს*.

„146. განცხადება ქორწინების მოსპობის შესახებ შეიტანება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელ ადგილას: სიტყვიერად, უკეთუ ორივე მეუღლე ერთად პირადად აცხადებს, და წერილობით — დანარჩენ შემთხვევებში*.

„148. უკეთუ განცხადებას ქორწინების მოსპობის შესახებ ერთ-ერთი მეუღლე შეიტანს, განქორწინების ჩასაწერად გამოიწვევა ორივე მეუღლე პირადად.

უკეთუ მეორე მეუღლე მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერსხვა ორგანოს მოქმედების რაიონში ცხოვრობს, მას ამ უკანასკნელი ორგანოს მეშვეობით გაეგზავნება შეტყობინება წინადადებით — პირადად გამოცხადდეს. უკეთუ გამოწვეულს გამოცხადება არ შეუძლია, მას წინადადება ეძლევა წარადგინოს წერილობითი პასუხი იმ კითხვებზე, რაც აღიძვრის ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს (მუხ. 130).

უკეთუ მეორე მეუღლე არ გამოცხადდება და არც წერილობითს პასუხს წარადგენს, ან უკეთუ მისი სამყოფელი ადგილი ცნობილი არ არის, განქორწინება ირეგისტრება მის დაუსრვებლად, ხოლო განქორწინების შესახებ განცხადების შემტანი მეუღლის აუცილებელი თანდასრვებით. განქორწინების მოწმობა ჰბარდება აგრეთვე იმ მეუღლესაც, რომელიც არ გამოცხადდა*.

„151. გარდაცვალება დარეგისტრებულ უნდა იქნას გარდაცვალებულის ნათესავების ან სათანადო სახლმმართველობის განცხადებით არა უგვიანეს სამი დღისა სიკვდილის დღიდან.

გარდაცვალების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნას: ქალაქებში, დაბებში, სარაიონო ცენტრებში და იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც სამკურნალო პუნქტებია, — დადგენილი სახის საექიმო მოწმობით, ხოლო სხვა ადგილებში — სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ან რწმუნებულის მიერ.

ძალადობითი სიკვდილი (მკვლელობა) და აგრეთვე თვითმკვლელობა ან სიკვდილი უბედური შემთხვევის გამო დარეგისტრებულ უნდა იქნას საგამო-

მძიებლო ან მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოს განცხადებით არა უგვიანეს 24 საათისა სიკვდილის ან გვამის აღმოჩენის მომენტიდან და თანაც თანახმად ექიმის მოწმობისა სიკვდილის მიზეზის შესახებ.

ამ მუხლში აღნიშნული ვადის არდაცვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამა კოდექსის 132 მუხლის მიხედვით“.

15. 152 მუხლი ამოიშალოს.

16. 153 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„153. გარდაცვალების განმცხადებელმა უნდა მიაწოდოს სათანადო ორგანოს ჩასაწერად საკირო ცნობები გარდაცვალებულზე, კერძოდ, გარდაცვალებულის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელიწადი, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ოჯახობრივი მდგომარეობა, სიკვდილის წელიწადი, თვე და დღე და სიკვდილის მიზეზი“.

17. 154 და 155 მუხლები ამოიშალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 181/1586.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

194. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ბოლო სიტყვების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ბოლო სიტყვები (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 88) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„უკანონოდ მოკრილი, გატაცებული, განადგურებული ან დაზიანებული ტყის ერთჯერადი ღირებულების გადახდევინებით ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1936 წ. ნოემბრის 20. № 179/1585.

ტფილისი.

372 № 31
სსრკ-ის
საგარეო
აღმსრულებლობის
საქმეთა
საგარეო
საქმეთა
საგარეო
საქმეთა

195. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 139¹ მუხლის დამატების შესახებ.

„ორსულობის მოტივებით სამუშაოზე ქალის მიღებაზე უარისთქმისათვის ან სამუშაო ხელფასის შემცირებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ოქტომბრის 5 ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ც.ა.კ. ის „იზვესტია“ 1936 წ. № 234), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 139¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„139¹. ორსულობის მოტივებით სამუშაოზე ქალის მიღებაზე უარის თქმა ან სამუშაო ხელფასის შემცირება ისჯება:

პირველად —

ზრომა-გასწორების სამუშაოებით ექვს თვემდე ან ჯარიმით ათას მანე თამდე.

ხოლო განმეორებისათვის სასჯელი შეიძლება გადიდებულ იქნას თავისუფლების აღკვეთამდე ორ წლამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. უღენტე.

1936 წ. ნოემბრის 20. № 178/1584.

ტფილისი.

ფახი 40 კაპ.

გამომცემელი	საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმ. მმართველობა	1936 წ. № 61. 3/მ. რედაქტორი მ. ვაშრაძე
ქაღალდის ფორმატი	62X94 სმ. 1 ¹ / ₈ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი	
გადაეცა სტამბას	1/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII; ტირაჟი 2.000.	
მთავლ. რწმ. № 870117	საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართველ. სტამბა, ტფილისი. დაქ. № 1102	